

ს ტ უ დ ე ნ ტ ა ს ა ყ უ რ ა დ ლ ე ბ ო დ !!!!!

ცხადდება კონკურსი გაცვლით პროექტში
მონაწილეობის მსურველთათვის!!



E R A S M U S +

Key Action 1

პროექტი: მობილობა უსდ სტუდენტებისა და პერსონალისათვის

Mobility for Learners and Staff-

Higher Education Student and Staff Mobility

პარტნიორები :

ინჰოლანდის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები) და გურამ თავართქილაძის სასწავლო

უნივერსიტეტი

- გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს სამართლის და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტების სტუდენტთა ღია კონკურსს ERASMUS + პროგრამის ფარგლებში ინჰოლანდის უნივერსიტეტში (როტერდამი, ნიდერლანდები) სწავლის მსურველთათვის 2017-2018 სასწავლო წლისათვის. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ I-III კურსის სტუდენტებს!!!!

შერჩევის კრიტერიუმები

1. მაღალი აკადემიური მოსწრება;
2. ინგლისური ენის ცოდნა B1-B2 დონეზე (ენის ცოდნა შემოწმდება საუნივერსიტეტო გამოცდით ინგლისურ ენაში);
3. სხვა უნარები და მიღწევები (კონფერენციებში, ტრენინგებში, მასტერ კლასებში, საუნივერსიტეტო აქტივობებში მონაწილეობა და სხვა).

კონკურსი ჩატარდება 3 ეტაპად:

I ეტაპი: საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა;

II ეტაპი: ტესტირება ინგლისურ ენაში;

III ეტაპი: საკონკურსო პრეზენტაციების წარმოდგენა;

I ეტაპი: საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა:

წარმოსადგენი დოკუმენტები:

1. განცხადება მონაწილეობის შესახებ (განცხადების ფორმისათვის მოგვმართეთ: საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება, პროფ. ინგა დიაკონიძე, მე-2 სართული).
2. CV ქართულ და ინგლისურ ენებზე;
3. Erasmus+პროგრამაში მონაწილეობის სამოტივაციო წერილი (ქართულად და ინგლისურად);
4. აკადემიური ცნობა;
5. დახასიათება (გაიცემა შესაბამისი კათედრის მიერ);
6. რეკომენდაცია (გაიცემა შესაბამისი ფაკულტეტის მიერ);
7. კონფერენციებში, ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები და/ან სერტიფიკატები (არსებობის შემთხვევაში).

II ეტაპი:

ტესტირება ინგლისურ ენაში

შერჩევის III ეტაპზე გადასულ სტუდენტებს ევალებათ:

წარმოადგინონ მაქსიმუმ 20 წუთიანი პრეზენტაციები (Power Point-ში, ინგლისურ ენაზე):

- თემა : საქართველო და ნიდერლანდები (10 წთ.)
- შერჩეული თემა სპეციალობის მიხედვით (10 წთ.)

საკონკურსო კომისია:

1. პროფ. გიორგი მათიაშვილი, რექტორი - კომისიის თავმჯდომარე;
2. ვთსუ პარტნიორთა კრების თავმჯდომარე, ქალბატონი ლიანა თავართქილაძე;
3. პროფ. მაია უკლება, რექტორის მოადგილე - თავმჯდომარის მოადგილე;
4. პროფ. შენგელი ფიცხელაური, სამართლის ფაკულტეტის დეკანი;
5. პროფ. გელა ალადაშვილი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი;
6. პროფ. ინგა დიაკონიძე, საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი;
7. ასოც. პროფ. ნიკოლოზ ფიცხელაური
კომისიის მდივანი მაია მჭედლიშვილი

მნიშვნელოვანი თარიღები:

- 17 მაისი - საბუთების შეტანის ბოლო ვადა (დაგვიანებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მიიღება)
- 18 მაისი - კომისიის მიერ დოკუმენტაციის განხილვა და II ეტაპზე გადასულ სტუდენტთა გამოვლენა
- 19 მაისი - გამოცდა ინგლისურ ენაში;
- 22 მაისი - პრეზენტაციების კონკურსი, კომისიის საბოლოო დასკვნა

დამატებითი ინფორმაციისათვის, მოგვმართეთ:

საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება,

პროფ. ინგა დიაკონიძე. მე-2 სართული, ორშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, 13.00-17.00